

ქონფერენციის განრიგი

საქართველო დემოკრატიზაციისა და
ეკონომიკის პირისპირ: პარტნიორები და
გამოწვევები



სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია, თბილისი | 16 მაისი 2017

09:30 რეგისტრაცია

10:00 მისალმება | პროფ. კორნელი კაკაჩია, დირექტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

10:15 პანელი 1: პარტიული პოლიტიკა და დემოკრატიზაცია | მოდერატორი: პროფ. დავით აფრასიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პანელი დაეთმობა მსჯელობას ისეთ საკითხებზე, რომლებიც საქართველოში პოლიტიკური პარტიების გაძლიერებასა და განვითარებას უკავშირდება. დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველო დემოკრატიული პოლიტიკური პარტიული სისტემის განვითარებისთვის იბრძოდა. თუმცა, ამ დრომდე, პოლიტიკურმა აქტორებმა ნათელი და ეფექტური პოლიტიკური პროფილების და თანმიმდევრული პარტიული პოლიტიკის განვითარება ვერ შეძლეს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოში პოლიტიკური ლანდშაფტი ერთპარტიული მმართველობის სასარგებლოდ შეიცვალა, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართული პარტიების მახასიათებელი გახდა. ამასთან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაყოფისა და ლიბერალური ცენტრის პარტიების კოლაფსის შემდეგ, პოლიტიკური ლანდშაფტი უფრო მეტად ფრანგმენტული გახდა. შესაბამისად, მომხსენებლები შეეცდებიან შემოგვთავაზონ თავიანთი ხედვა, თუ როგორ შეუძლია საქართველოს განვითაროს უფრო მეტად სტაბილური, მდგრადი პოლიტიკური პარტიების სისტემა.

მომხსენებლები

- დავით უსუფაშვილი - საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე
- დავით ბაქრაძე - საქართველოს პარლამენტისა და „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო“ წევრი
- დოქტ. მაქს ბადერი - ლეიდენის უნივერსიტეტი
- ლევან ცუცქერიძე - აღმასრულებელი დირექტორი, „ნიდერლანდების მრავალპარტიული ინსტიტუტი დემოკრატიისთვის“ (NIMD) აღმოსავლეთ ევროპის ოფისი
- ლევან კახიშვილი - მკვლევარი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

12:00 შესვენება ყავის თანხლებით

12:15 პანელი 2: პარლამენტარიზმი | მოდერატორი: პროფ. ჩარლზ ფეირბენქსი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სესიის მიზანია, მიმოიხილოს, თუ რა როლს თამაშობს პარლამენტი საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში და რეალურად, რა როლის შესრულება შეუძლია მას? ამჟამად, მთავრობის სხვადასხვა შტოს შორის ძალთა განცალკევება და მათი შემაკავებელი და გამაწონასწორებელი ძალების მნიშვნელობა ნათლად არაა განმარტებული და ისინი ეფექტურად ვერ ფუნქციონირებენ. აღმასრულებელი შტოს ძალის დასაბალანსებლად და დემოკრატიზაციის პროცესის გაგრძელების უზრუნველსაყოფად შედარებით ძლიერი პარლამენტის არსებობაა საჭირო. პარლამენტს კი, აღმასრულებელი შტოს ეფექტური ზედამხედველობით, შეუძლია შეასრულებს ძალთა დამბალანსებლის როლი პრეზიდენტისა და სასამართლო ინსტიტუტებს შორის და ამასთანავე, ხელი შეუწყოს ისეთი საკონსტიტუციო რეფორმების განხორციელებას, რომლებიც ამ ძალების განცალკევებას უფრო ნათელყოფენ. პანელის მომხსენებლები იმსჯელებენ იმაზე, თუ რა გზებითაა შესაძლებელი საქართველოს პარლამენტის გაძლიერება და მისი ეფექტურობის გაზრდა.

კონფერენციის განრიგი

საქართველო დემოკრატიზაციისა და
ეკონომიკის პირისპირ: პერსპექტივები და
გამოწვევები



მომხსენებლები

- **დოქტ. გიორგი კახიანი** - საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტი
- **დოქტ. ანა დოლიძე** - საპარლამენტო მდივანი, საქართველოს პრეზიდენტის ოფისი
- **დოქტ. ლიკა საჯაია** - საპარლამენტო მდივანი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
- **ლორა თორნტონი** - ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი
- **თორნიკე ზურაბაშვილი** - მთავარი რედაქტორი, Civil Georgia

დისკუსია

13:45 ლანჩი

15:00 პანელი 3: **ევროპეიზაცია & დემოკრატია** | მოდერატორი: **პროფ. ოლივერ რაისნერი** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის წამოებისას საქართველოს ურთიერთობები ევრო-ატლანტიკური სივრცის პარტნიორებთან დიდ მნიშვნელობას ატარებს. ევროკავშირთან ვიზალიზირების იმპლემენტაციის შემდეგ, საქართველომ უნდა განსაზღვროს შემდგომი ნაბიჯები ევროპეიზაციის გზაზე. როგორც სჩანს, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში (ევროკავშირი და ნატო) საქართველოს გაწევრიანება მოკლევადიანი პერსპექტივა არ არის, რამაც საქართველოში დასავლეთის მიმართ იმედგაცრუების ზრდა გამოიწვია. თუმცა, ამ სტრუქტურებთან დაახლოება ქვეყნისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. მე-3 პანელში მომხსენებლები საკუთარ ხედვას წარმოადგენენ, თუ როგორ უნდა განავითაროს საქართველომ ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთობების წარმართვის უფრო თანმიმდევრული სტრატეგია.

მომხსენებლები

- **თამარ ხულორდავა** - ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტი
- **დირე შუბელი** - აღმოსავლეთ პარტნიორობის ბილატერალური განყოფილების ხელმძღვანელი, ევროპის საგარეო საქმეთა სერვისი
- **თორნიკე გორდაძე** - ეროვნული თავდაცვის კვლევების ინსტიტუტი, პარიზი
- **კახა გოგოლაშვილი** - ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS)

16:30 შეჯამება

17:00 კონფერენციის დასასრული

კონფერენციის ფინანსური მხარდამჭერია „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ (NED)



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**National Endowment
for Democracy**
Supporting freedom around the world